



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი

შეფასების თარიღ(ებ)ი 20, 21 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200272034

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
სამუშაო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	თბილისი, გლდანის რაიონი სარაჯიშვილის გამზ. 12
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, 26 მაისის ქუჩა №36
საფოსტო ინდექსი	0114
დაწესებულების ვებ-გვერდი	http://www.kiketischool.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	kiketischool@yahoo.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	+ 995 32 2 14 44 31
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	მარინა კაჭარავა
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	+ 995 577 148148
ელ-ფოსტა	Marina.kacharava@yahoo.com

3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის თამარ მახარაშვილის ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში ვიზიტის შესახებ“ ა/წლის 5 მაისის №MES 9 20 00363330 ;
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2020 წლის 20, 21 ივლისი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	მაკა ტუკვაძე
წევრი (სახელი, გვარი)	თეონა ყაჭეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	მუხლი 6/ პუნქტი ა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	მუხლი 6/ პუნქტი ბ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული	მუხლი 6/ პუნქტი გ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	მუხლი 6 / პუნქტი დ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	მუხლი 6 / პუნქტი ე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტის სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	მუხლი 7 / პუნქტი გ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	მუხლი 7 / პუნქტი დ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	მუხლი 7 / პუნქტი ე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	მუხლი 7/ პუნქტი ზ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად	მუხლი 7/ პუნქტი თ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს			
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	მუხლი 7/ პუნქტი ი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	მუხლი 8 / პუნქტი ა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	მუხლი 8 / პუნქტი ბ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	მუხლი 8 / პუნქტი გ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	მუხლი 8/ პუნქტი დ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	მუხლი 8/ პუნქტი ე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	მუხლი 8/ პუნქტი ვ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	საგანმანათლებლო პროგრამები	ხარვეზი
ქვესტანდარტი	1.1.
	1.2.
სტანდარტი	მატერიალური რესურსი	
ქვესტანდარტი	2.2.
სტანდარტი	ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტი	3.1.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



--	--	--

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	საგანმანათლებლო პროგრამები	რეკომენდაცია
ქვესტანდარტი	1.1.
	1.2.
სტანდარტი	მატერიალური რესურსი	
ქვესტანდარტი	2.1.
	2.2.	
სტანდარტი	ადამიანური რესურსი	

11

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



ქვესტანდარტი	3.1.	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	<p>1. სახელობო პროგრამა: ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს აღნიშნული პროგრამა. მისი ძლიერი მხარეები სახელობო უნარ-ჩვევებთან ერთად მოსწავლეებში ტოლერანტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბება. მოსწავლეებს განსაკუთრებით თონეში პურის ცხოვა იზიდავს, აღსანიშნავია, რომ პროგრამა ფუნქციურ ხასიათს ატარებს!</p> <p>2. სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. გარდა სპორტის გაკვეთილებისა და სპორტული წრეებისა, დღე იწყება მისალმებით და დილის ვარჯიშით.</p> <p>3. სკოლა მონაწილეობს საქველმოქმედო პროექტებში: მაგალითად „გავერთიანდეთ ბავშვთა ჰოსპისის „ციცინათელას“ დასახმარებლად“, კოჯორში მინი ბიბლიოთეკის დაარსება;</p> <p>4. სასკოლო საზოგადოება მონაწილეობს ეკოლოგიურ პროექტების განხორციელებაშიც, მაგალითად მაკულატურას შეგროვება;</p>
------------------------------	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>5. სკოლაში ძალიან ხშირად ტარდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. უმრავლესობა მათგანი ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელშიც ასახულია., ღონისძიებები სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების არის: ხშირია ექსკურსიები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოსანახულებლად, სპორტული შეჯიბრებები, სახალისო ინტელექტუალური ვიქტორინები, პოეზიის სადამოები, ფესტივალები, გამოფენები.. განსაკუთრებით საინტერესოა სკოლაში ჩატარებული „კულინარიული დუელი“, ცოცხალი შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, რთველის მთლიანი ციკლის გაზიარება..</p> <p>6. სასწავლებლის ყველა მოსწავლეს შეუძლია ისაარგებლოს ტრანსპორტით სასწავლებელს ემსახურება 7 ავტობუსი. რომლებსაც მოსწავლეები თბილისიდან კიკეთამდე მოჰყავთ დილით და საღამოს უკან აბრუნებენ.</p> <p>7. კვება: სასწავლებელი უზრუნველყოფს ყველა მოსწავლეთა სამჯერად კვებას: საუზმე, სადილი, მსუბუქი ვახშამი. მენიუ და კვების რეჟიმი დგება ექიმ-დიეტოლოგის კონსულტაციით. საკვების ვარგისიანობას აკონტროლებს სასწავლებლის ექიმი. დღეში რამოდენიმე თავი კეთდება, რაც მოსწავლეებს არჩევის შესაძლებლობას აძლევს.</p>
--	---

დაწესებულების მისია	<p>შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის მისიაა ქრისტიანულ ფასეულობებზე დაფუძნებულ მზრუნველ, შემოქმედებით და უსაფრთხო გარემოში, ოჯახის მონაწილეობით, სასწავლებლის ყველა მოსწავლეს მისცეს საშუალება, მიაღწიოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; ხელი შეუწყოს მოსწავლეების მიერ სარწმუნეობის, შრომისმოყვარეობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის, როგორც პიროვნების განვითარების წინაპირობის გააზრებას.</p>
----------------------------	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	
---	--

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა არსებული რაოდენობა:	ექსპერტი ეთანხმება	აღწერა
140	<input type="checkbox"/>	<i>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</i>
მოსწავლეთა ზრვრული		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



რაოდენობა 260	ექსპერტი არ ეთანხმება <input type="checkbox"/>	
------------------	---	--

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას		
ქვესტანდარტის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი	მოთხოვნებთან ალწერთი	შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელმა წარმოადგინა 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შინაარსით და სტრუქტურით შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია მასწავლებლების/კათედრების, დირექტორის მონაწილეობით და დამტკიცებულია სასწავლებლის დირექტორის მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობა ხდება სწავლის დაწყებიდან პირველივე კვირის განმავლობაში დამრიგებლების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>სასწავლებლის მისია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ექსპერტების ვიზიტის დროს ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში საკოლო საზოგადოების მთავარმა სამმა აქტორმა: მოსწავლეებმა, მოსწავლეთა მშობლებმა და მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს მისიის მთავარი ღირებულებები, ის მიზნები და შედეგები, რომლის მოღწევასაც აპირებს სკოლა.</p> <p>შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: დაწესებულების მისია, სასწავლო წლის კალენდარი, დღის რეჟიმი, გაკვეთილების მიმდინარეობის განრიგი, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით, სადამრიგებლო პროგრამა, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული / გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა), ინკლუზიური განათლების კონცეფცია, პედაგოგთა საათობრივი დატვირთვა;</p> <p>საქართველოში ახალი კორონა ვირუსით (SARS - CoV- 2) გამოწვეულ ინფექციის (COVID-19) პრევენციის მიზნით, ისევე როგორც საქართველოს ყველა სკოლაში, ა/წლის მარტში იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელშიც შეწყდა მოსწავლეების სწავლება პირისპირი კონტაქტით. ა/წლის მარტის დასწყისშივე</p>
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>აღნიშნული დაწესებულება დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადავიდა. დისტანციურ რეჟიმისას სკოლა იყენებდა სოციალურ ქსელს Facebook. com-ს, სადაც დახურულ ჯგუფებში და მესენჯერის გამოყენებით ხდებოდა ურთიერთობა, ასევე გამოიყენებოდა Skype, Zoom და სხვა პლატფორმები. 2019-2020 სასწავლო წელი ისევე, როგორც საქართველოს ყველა მოსწავლემ, შპს იაკობ გოგებაშვილის სასწავლებლის მოსწავლეებმაც დისტანციურად დაასრულეს.</p> <p>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N 55/წ ბრძანების საფუძველზე სასწავლებლის სასკოლო სასწავლო გეგმაში განხორციელდა ცვლილება შეფასებასთან მიმართებით, ინფორმაცია განთავსდა სკოლის ვებ-გვერდზე, სადაც ვკითხულობთ რომ, სკოლა ირჩევს შეფასების ა) ვარიანტს, აგრეთვე განმარტებულია საგნის წლიური ქულის ამალღების წესი. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით 10 მოსწავლემ გააკეთა განაცხადი აღნიშნულთან დაკავშირებით.</p> <p>ამ ეტაპზე სასწავლებელი აქტიურად ემზადება ახალი 2020-2021 სასწავლო წლის უსაფრთხოდ დაწყებისათვის.</p> <p>აღსანიშნავია, რომ სკოლას ახალი სასწავლო წლისათვის შემუშავებული აქვს 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის პროექტის სამი ვარიანტი:</p> <ul style="list-style-type: none"> - ვარიანტი ა: ტრადიციული ანუ კონტაქტური; - ვარიანტი ბ: ჰიბრიდული (კონტაქტური + დისტანციური); - ვარიანტი გ: დისტანციური სწავლების რეჟიმი ;
--	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>2020-2021 სასკოლო სასწავლო გეგმა შინაარსითა და სტრუქტურით შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმასა.</p> <p>სასკოლო გეგმაში სკოლის საათობრივი ბაღე აზუსტებს სწავლების სამივე საფეხურზე ყველა საგნის სწავლების გაკვეთილების განრიგს დღეებისა და კლასების მიხედვით - საგნის მასწავლებლის ვინაობის მითითებით;</p> <p>სასწავლო კვირა ხუთდღიანია. პირველი კლასის გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთია, II-XII კლასების გაკვეთილის ხანგრძლივობა - 40 წუთია. გაკვეთილებს შორის შესვენება 5 -10-45 წუთი. სასწავლო დღის განრიგი სრული დღის რეჟიმის დროს იწყება 8:45 სთ ტაძარში ლოცვით, შემდეგ დილის ვარჯიში სკოლის მოედანზე, საუზმე, ცხრილის მიხედვით გაკვეთილები, სადილი, წრეობრივი და დამოუკიდებელი მუშაობა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს შერეული და ონლაინ სწავლებისთვის დღის რეჟიმი. დისტანციური სწავლების დროს გათვალისწინებულია ესგ-ს 56-1 მუხლის რეკომენდაციები, კერძოდ, დისტანციურ რეჟიმში მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების მაქსიმალური რაოდენობა.</p> <p>სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ (რუსული მე-2 კლასიდან) და გაუთვალისწინებელ მომსახურებას: 1.ლოგიკა 2. საღვთო სჯული 3.სახელობო, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურად მიმდინარეობს სასწავლებელში.</p>
--	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>განსაზღვრულია დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სწავლების სახე - სავალდებულო საგნების სწავლების მიზნები, შეფასების პრინციპები - კომენტარი, პროგრამის შინაარსი და რესურსები.</p> <p>სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. გარდა სპორტის გაკვეთილებისა და სპორტული წრეებისა, დღე იწყება დილის ვარჯიშით. სპორტის გაკვეთილზე დაწყებითი სწავლების საფეხურზე მოსწავლეებს აქვთ მოძრავი თამაშები, ხოლო ზედა საფეხურებზე სასწავლებელში მოსწავლე თავად აკეთებს არჩევანს და ირჩევს სპორტის იმ სახეობას/სახეობებს, რომელიც თვითონ უნდა. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში საკმაოდ დიდი სპექტრია ასარჩევი სპორტის სახეობების: რაგბი, ცურვა, ფრენბურთი, ტანვარჯიში, კარატე, ფეხბურთი.</p> <p>სკოლას განსაზღვრული აქვს სავალდებულო არჩევითი საგნები: ხელოვნების ისტორია, გარემო და მდგრადი განვითარება, შესავალი თანამედროვე ფიზიკაში I მოდული.</p> <p>მიუხედავად იმისა, თუ რომელი სცენარი განვითარდება შემოდგომაზე, სკოლა მომზადებულია: კარგად აღჭურვილი ახალი ცოდნით, გამოცდილებით, უსაფრთხო ფიზიკური გარემოთი შეხვდება ახალ სასწავლო წელს. აღსანიშნავია, რომ სკოლის თემი დისტანციურ რეჟიმზე მუშაობას დადებითად და ეფექტიანად აფასებს, მაგრამ უპირატესობას მაინც ტრადიციულ კონტაქტურ რეჟიმს ანიჭებს!</p>
--	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> - დაწესებულების მისია; - შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს 04.09.2019 წლის სხდომის N2 ოქმი - სკოლის ვებ. გვერდი: www.kiketischool.ge - სკოლის სოციალური ქსელი: https://www.facebook.com/kiketischool - შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის დირექტორის 09.09.19 წლის N01/14-19 ბრძანება . - შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. - ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან, - ფოკუს ჯგუფი მოსწავლეთა მშობლებთან, - ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან. - შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის მომავალი 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის პროექტი;
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

<p>1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები</p>	
<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან</p>	<p>სკოლაში მიმდინარეობს 12 წლიანი ზოგადსაგანმანათლებლო</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



<p>შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სწავლება: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. 2019-2020 სასწავლო წელს შპს იაკობ გოგებშვილის სახელობის სასწავლებელში სულ ფუნქციონირებდა 13 კლასი. (ორი მე-5 კლასი) და სკოლამდელი მოსასმზადებელი ჯგუფი, სადაც ხუთი ბავშვი სწავლობდა.</p> <p>2019-2020 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და მომავალ 2020-2021 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტშიც ცალკე თავად განსაზღვრულია სადამრიგებლო პროგრამა. სადამრიგებლო პროგრამა გაწერილია სწავლების საფეხურების, ცალკეული კლასების, თემების, მისაღწევი შედეგების მიხედვით. პროგრამაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი, 21-ე საუკუნის მოქალაქისთვის გლობალურად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: ეკოლოგია, უსაფრთხოება, არაძალადობრივი გარემო, შშმ პირთა უფლებები, კულტურული მემკვიდრეობა და სხვა... დაზუსტებულია ჩასატარებელი საათების რაოდენობა, სადამრიგებლო საათის ჩატარების ადგილი.</p> <p>საადამრიგებლო საუბრები მოქცეულია შემდეგ 3 ბლოკში, სწავლების საფეხურების შესაბამისად:</p> <p>დაწყებით კლასებში სადამრიგებლო პროგრამა ორიენტირებულია წიგნიერების კომპეტენციების გაძლიერებაზე.</p> <p>საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხილულია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის, კლასში ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშემწყობი თემატიკა.</p> <p>სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. ისინი აწარმოებენ</p>
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>დამრიგებლის პორტფოლიოს, რომელშიც წარმოდგენილია დამრიგებლის მუშაობის მიზნები, მოვალეობები, მუშაობის პრინციპები და საკლასო ღონიერიებები. ყველა დაგეგმილი აქტივობა გამომდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმიდან და შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.</p> <p>სასწავლო წლის ბოლოს დამრიგებლების მიერ კეთდება სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება, რომელიც იწახება მოსწავლის პირად საქმეში.</p> <p>შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში ფუნქციონირებს ექვსი კათედრა, რომლებიც აერთიანებს სასწავლებლის ყველა მასწავლებელს</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა 2. მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა. 3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა 4. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა 5. უცხოური ენების კათედრა 6. ესთეტიკისა და ფიზიკური აღზრდის <p>კათედრის საქაღალდეებში წარმოდგენილი იყო კათედრის სამოქმედო გეგმები, კათედრის ოქმები და საგნების სასწავლო პროგრამები საფეხურების მიხედვით.</p> <p>სკოლაში ძალიან ხშირად ტარდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები.</p>
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>უმეტესი მათგანი ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელშიც ასახულია., ღონისძიებები სხვადასხვა ტიპის და დანიშნულებისაა: ხშირია ექსკურსიები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოსანახულებლად, სპორტული შეჯიბრებები, სახალისო ინტელექტუალური ვიქტორინები, პოეზიის სადამოები, ფესტივალები, გამოფენები.. განსაკუთრებით საინტერესოა სკოლაში ჩატარებული „კულინარიული დუელი“, ცოცხალი შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, რთველის მთლიანი ციკლის გაზიარება.. სკოლა მონაწილეობს საქველმოქმედო პროექტებშიც: მაგალითად, „გავერთიანდეთ ბავშვთა ჰოსპისის „ციცინათელას“ დასახმარებლად“ ან კოჯორში მინი ბიბლიოთეკის დაარსება; სასკოლო საზოგადოება მონაწილეობს ეკოლოგიურ პროექტების განხორციელებაშიც, მაგალითად მაკულატურას შეგროვება და ა. შ.</p> <p>აღნიშნული დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> - შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის 2019-2010 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა; - შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის პროექტი; - კათედრების ოქმები; - მასწავლებელთა პორტფოლიოები; - www.kiketischool.ge - სკოლის სოციალური ქსელი: https://www.facebook.com/kiketischool

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<ul style="list-style-type: none"> - ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან, - ფოკუს ჯგუფი მოსწავლეთა მშობლებთან, - ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან.
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

<p>1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის</p>	
<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>შპს იაკობ გოგებშვილის სახელობის სასწავლებელს ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ სკოლის საზოგადოებას აქვს მზაობა სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში გაუწიოს მას სათანადო საგანმანათლებლო მომსახურება. სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო შშმ პირებისთვის. სასაბუღალტრო უნივერსალური დიზაინის პრინციპით არის დაპროექტებული, საკლასო ოთახებში მერხების კონსტრუქცია განსაკუთრებით ეფექტურია აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის. „სკოლა იზიარებს ინკლუზიური განათლებისადმი განათლების სისტემის მიდგომას და გააჩნია მისი განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი, რითაც შესაძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სსსმ მოსწავლის ჩართვა სხვა მოსწავლეებთან ერთად. „წერია სკოლის მიერ შედგენილ ინკლუზიური განათლების კონცეფციაში. აღნიშნული პროგრამა შედგება შემდეგი ნაწილებისგან: სსსმ მოსწავლის დეფინიცია, სსსმ მოსწავლის სწავლების განხორციელების მექანიზმები</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>და სსსმ მოსწავლეთა შინსწავლება.</p> <p>სკოლაში ზოგადად ორიენტირებულნი არიან მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე: ხშირია ფსიქოლოგიური დახმარება, დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობების ჩატარების პრაქტიკა, მშობელთათვის რეკომენდაციების გაცემა.</p> <p>სკოლის მიერ ჩატარებული მუშაობის შესწავლისას, გამოვლინდა, რომ სასკოლო საზოგადოებაში ღრმად არის ჩადებული ინკლუზიური საზოგადოების არსი და „ინკლუზიურობის კულტურა“ :</p> <ul style="list-style-type: none"> • სადამრიგებლო საათების თემატიკაში ყველა საფეხურზე; • პროექტების განხორციელების იდეაში (ჰოსპისის დახმარება); • ინტერვიურებისას;
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<p>სკოლის ინკლუზიური განათლების კონცეფცია;</p> <p>ისგ-ს დამტკიცებული ფორმა;</p> <p>ვიზუალური დათვალიერება სკოლის ფიზიკური გარემოსი;</p> <p>ინტერვიუ სკოლის დირექტორთან მარინა კაჭარავასთან;</p> <p>სოციალური ქსელი.</p> <p>სტრატეგიული გემის დოკუმენტი;</p>
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული შეფასების სისტემა, განმარტებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მნიშვნელობა, აკადემიური მიღწევის დონეები. კლასისა და საფეხურის დაძლევის ზღვრები. სკოლამ 2019-2020 სასწავლო წლის წლიურ ქულად განსაზღვრა, მოსწავლის მიერ 2019-2020 სასწავლო წელის I სემესტრში მიღებული ქულა. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მასწავლებელთა უმრავლესობას შემაჯამებელი დავალებები სხვადასხვა ფორმით ჰქონდათ დაგეგმილი და ჩატარებული. მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფშიც კი მასწავლებლებმა მოიყვანეს საინტერესო მაგალითები დისტანციური მუშაობისას მოსწავლეთა მრავალფეროვან პროექტებზე მასწავლებელთა პორტფოლიოების დათვალიერებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- შემაჯამებელი დავალებები სხვადასხვა ტიპისაა.
- მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების სქემები, განსაკუთრებით კი დაწყებით საფეხურზე თვითშეფასების და საბაზო და საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იძლევა პრობლემების იდენტიფიცირებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>საშუალებას.</p> <p>გასაუბრებისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ შემაჯამებელი დავალებების შედეგების განხილვა ხდება მათი ჩართულობით, რომ მოსწავლეებმა წინასწარ იციან კრიტერიუმები, რითიც მოხდება მათი ნამუშევრების შეფასება.</p> <p>2020-2021 სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი), მოიცავს შეფასების სისტემას. განსაზღვრულია შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, სხვადასხვა საფეხურის კლასებისათვის შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა საგნების მიხედვით, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისა და გაცნობის წესი მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებელი უზრუნველყოფს მათ გამჭირვალობას, კრიტერიუმების გაცნობა მოხდება როგორც ვერბალურად, ასევე წერილობით (გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას). აგრეთვე გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი და პირობები „სკოლა საშუალებას აძლევს მოსწავლეს, სასწავლებელში გამოცხადებიდან 2 საგაკვეთილო დღის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში, შეასრულოს გაცდენილი შემაჯამებელი დავალება მასსა და მასწავლებელს შორის შეთანხმებულ დროს იმავე ფორმით (გასაზომი შედეგის შესაბამისი, თუმცა საკითხების განსხვავებული შინაარსის), როგორი ფორმითაც შეასრულა მთლიანმა კლასმა.“, თითოეული მასწავლებლის მიერ კათედრისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დამლევა გაცდენები, გამოცდების ტიპები, ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი</p>
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	დოკუმენტები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	-2019-2020 სასკოლო სასწავლო გეგმა 2020-2021 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; -შემაჯამებელი დავალებები; -ფოკუს-ჯგუფები; -მასწავლებელთა პორტფოლიო; -კათედრის ოქმები;
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლებლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესავალ ნაწილში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები, მათ შორის, მშობლის ინფორმირება შვილის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ, აგრეთვე სასწავლო წლის ბოლოს- „გაანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით.</p> <p>მშობლის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის წესები ასევეა გაწერილი შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის შინაწესის მე-19 მუხლში. სამივე ფოკუს ჯგუფთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ სასწავლებლის მშობელი უფლებამოსილია გაეცნოს ინფორმაციას საკუთარი შვილის/ აკადემიური მოსწრების, გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების შესახებ მისთვის ყველაზე კომფორტული კომუნიკაციის გზით. ეს არხები კი ძალიან მრავალფეროვანია: ელექტრონული ჟურნალი, დაწესებულების ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო ზარი, პირადი შეხვედრები, მშობელთა კრებები და მესენჯერიც კი.</p> <p>ელექტრონულ ჟურნალზე, როგორც ინფორმირების მიწოდების საუკეთესო გზაზე, ისაუბრეს მოსწავლეებმაც და განსაკუთრებით მშობლებმაც. მათ აღნიშნეს, რომ „ელ. ჟურნალში შეფასება არ არის მხოლოდ მშრალი ინფორმაციის ნიშნის სახით. მასში ყოველდღიურად აისახება კომენტარის გრაფაში თითოეული საგნის მასწავლებლის კომენტარი. რაც ზუსტად აღწერს, თუ რატომ, რა დამსახურებისთვის შეფასდა მოსწავლე, რა იყო მისი ძლიერი და შედარებით სუსტი მხარე..</p>
--	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	„რაზე უნდა იმუშაოს მან, რომ ესა, თუ ის უნარი განავითაროს...“
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> - სასკოლო სასწავლო გეგმა; შესავალი ნაწილი - შინაგანწესი; - ელ. ჟურნალი; - სოციალური ქსელი; - ვებ. გვერდი; - სადამრიგებლო პროგრამა; - ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; - ფოკუს-ჯგუფი მშობლებთან;
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლის შინაგანწესში გაწერილია სასწავლო პროცესის მონიტორინგის წესები, რომელიც მოიცავს ოთხ მიმართულებას: აკადემიურს, შრომითს, სპორტის და სასულიეროს.</p> <p>მიმართულების ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი არიან სასწავლებლის დირექტორთან.</p> <p>შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელმა შეიმუშავა კითხვარები მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის, აგრეთვე სასკოლოს გარემოს შეფასების ფორმა,</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>რომელთა დანიშნულებაც იყო 2019-2020 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების ეფექტიანობის დადგენა. კითხვარების უმრავლესობის შევსება მეორე სემესტრში განვითარებული მოვლენების - პანდემიის გამო ვერ მოხერხდა.</p> <p>წარმოდგენილია ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გემა, სადაც გაწერილია სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად დაგეგმილი აქტივობები თვეების მიხედვით. ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ანალიზის მიხედვით განისაზღვრა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელიც აისახა სასწავლებლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში.</p> <p>სკოლაში ჩატარდა ექსტერნის ორი გამოცდა, კანონმდებლობის სრული დაცვით.</p> <p>სკოლის ყველა მასწავლებელი ჩართულია მასწავლებელთა პროფესიაში შესვლისა და კარიერული ზრდის სქემაში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<p>შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის შინაგანაწესი. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის დირექტორის 2014 წლის 13 იანვრის</p> <p>ბრძანება N01/03-14 - დანართი N1 ცვლილებები</p> <p>„შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის დირექტორის 2014 წლის 11 იანვრის N01/03-14</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ბრძანებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის დირექტორის 2015 წლის 04 სექტემბრის ბრძანება N01/20-15.
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	გამოკითხვა შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული მატარებლების გამოყენებით.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: <input checked="" type="checkbox"/> სტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი,“ საიდენტიფიკაციო კოდი 200272034, მდებარეობს, ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, 26 მაისის ქუჩა № 13.-ში სკოლის მფლობელობაშია აღნიშნულ მისამართზე მდებარე არასასოფო სამეურნეო დანიშნულების ფართი 6380.00კვ.მ და მასზე განთავსებულიშენობა-ნაგებობები: №1, №2,№3,№4,№5,№6,№7,№8, რომელთა საერთო ფართია-5218 კ.მ. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილია №1, №2 და №3 ოთხსართულიანი შენობები, ხოლო დანარჩენი დამხმარე ნაგებობებია. თითოეული სასწავლო კორპუსის ფართია-1464.64კვ.მ (შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით)</p> <p>სკოლას, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სარგებლობის უფლება აქვს, სოფელი კიკეთი, 26 მაისის ქუჩა № 36-ზე არსებულ ფართებზე: ე.წ პავილიონი ფართით-400კვ.მ, საცურაო აუზი ფართით-300კვ.მ და</p>

33

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	საჭიდაო დარბაზი ფართით-250კვ.მ, ასევე მიწის ნაკვეთზე მდებარე ჩოგბურთის მოედანი ფართით-630კვ.მ და ფეხბურთის მოედანი ფართით-1080 კვ.მ.
ფაქტობრივი მისამართი	1. ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, 26 მაისის ქუჩა № 13 2. ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, 26 მაისის ქუჩა № 36
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	81.01.01.578 81.01.99.454
კვ.მ.	საერთო ფართი-6380.00კვ.მ, შენობა-ნაგებობების-5218 კ.მ. სპორტული აქტივობების ფართი-2660კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • ამონაწერები საჯარო რეესტრიდან: • N 882020107760 - 11/02/2020 13:55:23 • N 882020358785 - 29/06/2020 10:07:29 • იჯარის ხელშეკრულება ,დამოწმების თარიღი 30/06/2026,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <p>№1, №2, №3 შენობების შიდა აზომვითი ნახაზები</p>
შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამივე სასწავლო კორპუსი გარემონტებულია. საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით: ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური მერხებით და სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სასკოლო დაფებით და კარადებით. კლასებში მრავლად არის სასწავლო რესურსები: პლაკატები, პოსტერები, და სხვადასხვა მიზნობრივი თვალსაჩინოებები.

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, 2019-2020 სასწავლო წელს საგაკვეთილო პროცესს მხოლოდ №2 და №3 კორპუსებში ახორციელებდნენ. №2 კორპუსი განკუთვნილია დაწყებითი (I-IV) საფეხურის მოსწავლეთათვის, საკლასო ოთახები განთავსებულია მე-2 სართულზე, პირველ სართულზეა სკოლამდელი მოსამზადებელი კლასი, სადაც გასულ წელს სწავლობდა 5 მოსწავლე. №3 კორპუსში განთავსებულია დაწყებითი საფეხურის V-VI კლასები და საბაზო და საშუალო საფეხურის საკლასო ოთახები. ვიზიტის დროს №1 შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო ბიბლიოთეკა. სკოლის სამივე კორპუსში 22 საკლასო ოთახია, აქედან მე-2 და მე-3 შენობაშია 14 საკლასო ოთახი. მე-3 კორპუსში არის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, ასევე არის კომპიუტერული კლასი. ხელოვნების კაბინეტში გამოფენილია გაკვეთილზე შესრულებული ნამუშევრები. სამასწავლებლო აქვს ორივე კორპუსს. ორივე შენობის პირველ სართულზეა საგარდერობე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ოთახი, ყველა სართულზეა გამოყოფილი სარეკრიაციო ზონები. ვიზუალური დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციის გაცნობით, სკოლის მფლობელობაშია 262 ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასკოლო დაფა-30.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერებით • შპს "იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი"-ის ინვენტარიზაციის ოქმით N 1, თარიღით 03.02.2019 • შპს „კიკეთის სოციალური პროექტის და შპს "იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი"-ს შორის გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტით(27/01/2010) • შპს სასკოლო ინვენტარის ფაბრიკას და შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელს შორის გაფორმებული 2015 წლის 6 მარტს გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტით
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ზრუნავს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, რაც დასტურდება საათობრივი ბადით და სპორტული ინფრასტრუქტურით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>სკოლას №3 შენობაში აქვს მაღალჭერიანი სპორტული დარბაზი გასახდელებით (გოგნები, ვაჟები, მასწავლებელი), საშხაპეებით და სველი წერტილებით, აგრეთვე ღია სპორტული მოედანი-770კვ.მ.</p> <p>სკოლას იჯარის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სპორტული ინფრასტრუქტურით სარგებლობაზე: საცურაო აუზი ფართით-300კვ.მ და საჭიდაო დარბაზი ფართით-250კვ.მ, ასევე მიწის ნაკვეთზე მდებარე ჩოგბურთის მოედანი ფართით-630კვ.მ და ფეხბურთის/რაგბის მოედანი ფართით-1080 კვ.მ.</p> <p>სკოლას აქვს სპორტის სახეობების შესაბამისი მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერებით • შპს "იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი"-ის ინვენტარიზაციის ოქმით N 1, თარიღით 03.02.2019 • იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 30/06/2026, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

<p>დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები</p>		
<p>ქვესტანდარტის შესაბამისობის</p>	<p>მოთხოვნებთან აღწერითი</p>	<p>№3 კორპუსში არის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტები. თითოეული საგნის კაბინეტის კარადებში განთავსებულია შესაბამისი</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



<p>მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>ინვენტარი, გამოკრულია მიზნობრივი სასწავლო რესურსები. სკოლას შეძენილი აქვს ლაბორატორიის აღჭურვილობის სრული კომპლექტი.</p> <p>ინფორმაციულ-ტექნოლოგიური კაბინეტი განთავსებულია მე-3 შენობაში, სადაც არის ინტერნეტ ქსელში ჩართული 6 კომპიუტერი.</p> <p>სკოლაში ფუნქციონირებს ხელოვნებისა და ინგლისურის კაბინეტები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერებით • ლაბორატორიის შეძენა ნასყიდობის ხელშეკრულება 12/07/2011 და მიღება-ჩაბარების აქტი,
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

<p>2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები</p>	
<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სკოლაში არის სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი გარემო. კერძოდ, ნათელი საკლასო ოთახები, ელექტრო ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (150კვტ ელ.გენერატორი), ცენტრალური გათბობის სისტემა.</p> <p>შ.პ.ს. წარმოადგენს ელ. ენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>დამოუკიდებელ აბონენტს.</p> <p>ყველა შენობის ყველა სართულზეა 3-3 ან 4-4 განყოფილებიანი სველი წერტილები: გოგონების, ბიჭების, მასწავლებლებისა და სსსმ მოსწავლისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები. არის ონკანი, თხევადი საპონი და ხელის საშრობი.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერებით • დენის, გაზის და წყლის გადახდის ქვითრები
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

<p>2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით</p>	
<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სასკოლო ბიბლიოთეკა განთავსებულია №1 შენობის პირველ სართულზე დიდ და ნათელ ოთახში. თაროებზე წიგნები განთავსებულია თემატურად. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. ბიბლიოთეკაში არის ერთი კომპიუტერი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. აღრიცხულია 10000 წიგნზე მეტი, თუმცა ადგილზე ეს რაოდენობა არ იყო, ბიბლიოთეკარის განმარტებით, ხდება წიგნების გადახარისხება და განახლება, საინვენტარო წიგნში</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>მონიშნული წიგნები კი საქველოქმედო მიზნით გადაეცემა კოჯრის მინი ბიბლიოთეკას. სკოლას შემენილი აქვს საკატალოგო ბარათები, წიგნის ფორმულარები, ჯიბაკები და მიმდინარეობს წიგნების დამუშავება საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფმინიჭებული წიგნები და დამატებითი ლიტერატურა კლასების და საგნების მიხედვით წარმოდგენილია სრულად.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვაიერებით • ბიბლიოთეკარის მოხსენებითი ბარათი სასკოლო სახელმძღვანელოების შესამენად • საბიბლიოთეკო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია • ბიბლიოთეკის დებულება • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

<p>2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის</p>	
<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. სამივე კორპუსის ცენტრალური შესასვლელი ადაპტირებულია. მოძრავი ხის პანდუსებითაა აღჭურვილი სველი წერტილების შესასვლელები, ხოლო ცენტრალური</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>კიბეებისთვის დამზადებულია რკინის პანდუსები პირველი სართულიდან - მესამე სართულის ჩათვლით. სკოლას სულ დამზადებული აქვს 24 ხის და 13 რკინის პანდუსი. სამივე კორპუსის ყველა სართულზე განთავსებულ სველ წერტილებში ერთი განყოფილება განკუთვნილია შშმ პირისთვის, თუმცა ადაპტირებული სველი წერტილები ეტლით მოსარგებლე პირისთვის არ იყო მოსახერხებელი. კემოდ, ფართის სიმცირის გამო შეუძლებელი იყო ეტლის მობრუნება და ხელის მოსაჭიდი სახელების დანიშნულებისამებრ გამოყენება.</p> <p>სკოლამ, ვიზიტის დროს გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები. განსაზღვრა ფართი ადაპტირებული სველი წერტილისთვის და შეიძინა საჭირო აღჭურვილობა.</p> <p>სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ჩუქების ხელშეკრულებით 19.05.2015(24 ხის პანდუსი და 13 რკინის პანდუსი) • მიღება-ჩაბარების აქტით • სასაქონლო ზედნადებით (სახელურები სველი წერტილის)14/07/2020 • ვიზუალური დათვალიერებით
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი 37 კომპიუტერი. კომპიუტერები გადანაწილებულია კომპიუტერულ კლასში-6, ორივე სამასწავლებლოში, ექიმის კაბინეტში, ბიბლიოთეკაში, ხელოვნების და ადმინისტრაციის ოთახებში. სამასწავლებლოში და ადმინისტრაციის ოთახებში კომპიუტერულ ტექნიკასთან ერთად განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციის პრინტერის მოწყობილობები. სულ სკოლის ბალანსზეა 9 პრინტერი.</p> <p>საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებ-გვერდი http://www.kiketischool.ge/, ელ.ფოსტა kiketischool@yahoo.com და სოციალური ქსელი.</p> <p>სკოლაში მოქმედებს ელ. ჟურნალი, რომელშიც დღის ბოლოს ყველა მასწავლებელს შეჰყავს მონაცემი თითოეული მოსწავლის დასწრებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია მშობლისთვის</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერებით • შპს "იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი"-ის ინვენტარიზაციის ოქმით N 1 , თარიღით 03.02.2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუებით • შპს „კიკეთის სოციალური პროექტების დამფუძნებლის 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით <p>შპს „კიკეთის სოციალური პროექტების“ და შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელს“ შორის გაფორმებული მიღება -ჩაბარების აქტით (27/01/2010)</p>
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლის შენობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. №1 და №2 შენობებს გარედან აქვს სახანძრო კიბე, №3 შენობას აქვს სამი შესასვლელი და სართულებზე ასასვლელი სამი კიბე. შენობაში ცეცხლმაქრები განთავსებულია სავაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში, ყველა ცეცხლმაქრზე დატანილია გადამუხტისა და მოქმედების ვადები. სკოლის ბალანსზეა 28 ცეცხლმაქრი.</p> <p>სკოლაში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ,</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>ჩატარდა შენობა-ნაგებობების დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. შემოწმების დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, სასწავლებელს დაევალა სავალდებულო ღონისძიებების შესრულება და განესაზღვრა ვადები.</p> <p>სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება, შპს „აიდეა რესარჩ სქოლად“-თან, შრომის უსაფრთხოების მომსახურებაზე, რაც აგრეთვე მოიცავს სახანძრო უსაფრთხოების რისკების შეფასებასაც.</p> <p>ვიზიტის დროს მიმდინარეობდა გეგმით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება, გასატარებელი ღონისძიებების ამსახველ ცხრილში არის აღნიშნული ზოგიერთი დავალებების შესრულების შესახებ. დამუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით ხის კონსტრუქციები, შეძენილია 160 კვამლის დეტექტორი და 23 სიგნალიზაციის ხმოვანი სიგნალი;</p> <p>სკოლაში არის უსაფრთხოების სამსახური, რომლის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერებით • სასაქონლო ზედნადები-ხის კონსტრუქციის ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით დამუშავებაზე • სასაქონლო ზედნადები 17/07/2020 (კვამლის დეტექტორი და სიგნალიზაცია); • მომსახურების ხელშეკრულება შპს „აიდეა რესარჩ სქოლად“-თან • მიწერილობა №2265 და მიწერილობა №2266 სახანძრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	უსაფრთხოების მოთხოვნის დარღვევის აღმოფხვრაზე
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში, ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერებით • შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელს“ და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარ სამმართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით -საევაკუაციო გეგმის მომწადებაზე 01.03.2020
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: მაგიდა, საწოლი (ტაფჩანი), სველი წერტილი. კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტები.</p> <p>სკოლის სტრუქტურული ერთეულია სამედიცინო სამსახური. სასწავლებლის დირექტორის 2014 წლის 13 იანვრის ბრძანება N01/04-14</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>-ით დამტკიცებულია სამედიცინო სამსახურის დებულება. სამსახურის შემადგენლობაშია ექიმი და/ან ექთანი და ფსიქოლოგი. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი.</p> <p>სკოლის ბუღალტერის განმარტებით, სასწავლებლის ექიმის მოთხოვნის საფუძველზე პერიოდულად ხდება პირველადი მოხმარების მედიკამენტებს და ინვენტარს შექმნა.</p> <p>საქართველოში ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციის (COVID-19) პრევენციის მიზნით, ყველა შენობის შესასვლელთან არის დეზობარიერები, სადიზენფექციო სითხე და ხდება ტემპერატურის კონტროლი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერებით • შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის დირექტორის 2014 წლის 13 იანვრის ბრძანება N01/04-14-ით დამტკიცებული სამედიცინო სამსახურის დებულებით • პირველადი სამედიცინო მედიკამენტების და ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაციით-ელ.ზედნადებებით
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>
<p>დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად</p>	
<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან</p>	<p>სკოლის კუთვნილი ტერიტორია შემოღობილია. შესასვლელში</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



<p>შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>განთავსებულია მცირე ზომის დაცვის ჯიხური. სკოლას ემსახურება დაცვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოცხადებულ მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და შენობაში უცხო პირის გადაადგილების კონტროლს.</p> <p>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სკოლას შესატანხმებლად გაგზავნილი აქვს შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები.</p> <p>სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, სამინისტროდან მიღებული რეკომენდაციების შესწავლა მიმდინარეობს, რასაც გაითვალისწინებენ აღნიშნული წესის დამტკიცების დროს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის დაცვის სამსახურის დებულება- ბრძანება N01/04-14 • შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის დებულება- ბრძანება N01/04-14 • შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<ul style="list-style-type: none"> წერილი MES 72000451349 10/06/2020 -საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო-ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია
<p>ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს</p>	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეოკამერებით. სკოლაში სულ 48 ვიდეოკამერაა, გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 16 ვიდეოთვალი, ხოლო 32 ვიდეოთვალი შიდა პერიმეტრზე. ვიდეოჩანაწერის ჩვენება ხდება მონიტორზე, რომლის მუშაობას მუდმივად აკვირდება უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი.</p> <p>ვიზიტის დროს მიმდინარეობდა უსაფრთხოების სისტემების შემოწმება. გაფორმებული იყო ხელშეკრულება შიდა და გარე კამერების მონტაჟზე (15/07/2020). სკოლამ შეიძინა ახალი კამერები, დაზიანებული კამერების ჩასანაცვლებლად. ვიდეო კამერების პარამეტრები შეესაბამება შსს მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ბრძანებით განსაზღვრულ პარამეტრებს და დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერებით • კამერების შეყიდვის ზედნადებები 23/07/2020 • მომსახურების ხელშეკრულებით 15/07/2020 უსაფრთხოების კამერების მონტაჟი და გამართვა • შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის დაცვის სამსახურის დებულება- ბრძანება N01/04-14
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს წესდება, შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის“ დირექტორის ბრძანება 01/03-14 13/01 2014 დამტკიცებული შინაგანაწესი. (ცვლილება -სკოლის დირექტორის 2015 წელის 04 სექტემბრის ბრძანება 01/20-15), შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის დირექტორის</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>2014 წლის 13 იანვრის ბრძანება N01/04-14 - ით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების დებულებები და ინსტრუქციები.</p> <p>სკოლის შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები და სამსახურებრივი ინსტრუქციები უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურებს.</p> <p>შინაგანაწესში გაწერილია ზოგადი დებულებები, სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, შრომითი ურთიერთობების წარმოშობა, შრომითი ურთიერთობის პირობები, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა და საბოლოო ანგარიშშორება, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, მოსწავლეთა უფლები და ვალდებულებები, სასწავლებელში ჩარიცხვა და გადაყვანის პირობები, მოსწავლის პირადი გასინჯვა, სიცოცხლის, ჯამრთელობის, შრომის პირობების დაცვის ინსტრუქციები, სასწავლებლის სერვისები, განცხადების საჩივრის განხილვა და დასკვნითი დებულებები .</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • სკოლის შინაგანაწესი • სტრუქტურულ ერთეულთა დებულებები • სტრუქტურულ ერთეულთა ინსტრუქციები
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



<p>2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს</p>	
<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს აგრეთვე მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას და გაუმჯობესებას.</p> <p>2015-2020 წლების სტრატეგიული გეგმის შეფასების შედეგები ასახულია სასწავლებლის სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმაში.</p> <p>ვიზუალური დათვალერებით და თვითშეფასების ფორმით განსაზღვრული სკოლის ძლიერი მხარეებია: კეთილმოწყობილი სასწავლო კორპუსები, სასწავლო ტერიტორიის 24 საათიანი დაცვა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთა შორის ფუნქციების გადანაწილების მაკაფიო სისტემა, ნათელი სასწავლო ოთახები და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლა გასაუმჯობესებელ მხარედ მიიჩნევს, საკლასო ოთახების კომპიუტერიზაციას და სხვა სასწავლო აუცილებელი ტექნიკით აღჭურვას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის სტატუსისი მამიებლის თვითშეფასებით • 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<ul style="list-style-type: none"> • 2020-2026 წლების სტრატეგიული გეგმით • ვიზუალური დათვალიერებთ • გასაუბრებით სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერთან
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორექსიონდენციის აღრიცხვა	
<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების დებულება, რომელიც დამტკიცებულია სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით -01/02-14, 13.01.14. სკოლაში საქმის წარმოების ორგანიზებას ახორციელებს სკოლის საქმეთამმართველი.</p> <p>საქმისწარმოება მოიცავს შემოსული და გასული კორექსიონდენციების აღრიცხვას, ბრძანებების რეგისტრაციას და აღრიცხვას, სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებების რეგისტრაციას და აღრიცხვის წესს და საარქივო დოკუმენტების წარმოებას.</p> <p>სკოლაში არის შესაბამისი დოკუმენტების წარმოების რეგისტრაციის ჟურნალები და საქალაქდებები. ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დალუქულია და ბეჭედ დასმულია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • შემოსული კორექსიონდენციების საქალაქდებ • გასული კორექსიონდენციების საქალაქდებ • საერთო ბრძანებების ჟურნალი • საკადრო ბრძანებების ჟურნალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეთა მობილობის ჟურნალი • საერთო ბერძანებების საქალაქე-01 • საკადრო ბერძანებების საქალაქე-02 • მოსწავლეთა მობილობის საქალაქე-03 • ხელშეკრულებების საქალაქე • პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ჟურნალი
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სკოლას შესაძლებლობა აქვს მოსამზადებელი კლასი განათავსოს ცალკე კორპუსში
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> სტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მართვის საინფორმაციო სისტემის e-school - ის მიხედვით სკოლაში ირიცხება 140 მოსწავლე. სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სკოლაში არის საჭირო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე ადამიანური რესურსი. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენს 81 თანამშრომელს, რომელთა შორის არიან 37 მასწავლებელი. ადმინისტრაციულ სტრუქტურის წარმომადგენლებია დირექტორი, ადმინისტრაციის მენეჯერი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საზოგადოების ურთიერთობის მმართველი, სასულიერო მიმართულების ხელმძღვანელი, აკადემიური მიმართულების ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი, შრომითი მიმართულების ხელმძღვანელი, სპორტული მიმართულების ხელმძღვანელი, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი. ასევე სკოლის სამტატო ჩამონათვალშია: საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, ექიმი, სკოლის მოძღვარი (2), საბუღალტრო საქმის წარმოებელი მმართველი, უსაფრთხოების (6) თანამშრომელი. ტექნიკური უზრუნველყოფის ხელმძღვანელს ჰყავს თანაშემწე და მასზე დელეგირებულია 7 მძღოლი, 3 დამლაგებელი. სპორტის მიმართულების სტრუქტურაშია: რაგბის 3 მწვრთნელი, კარატეს მწვრთნელი, ბალეტის ქორეოგრაფი, ფრენბურთის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>ტანვარჯიშის, ცურვის (2) და ფეხბურთის მასწავლებელი; ასევე სკოლაში დასაქმებულია 5 წრის ხელმძღვანელი;</p> <p>მათი ფუნქციები გაწერილია დებულებებში.</p> <p>მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> - შპს იაკობ გოგებაშვილის სასწავლებლის საშტატო ნუსხა; - E-school-ის ბაზის მონაცემები (ბეჭდური სახით); - შრომითი ხელშეკრულებები; - შრომითი ხელშეკრულებების გატარების ჟურნალი; - საათობრივი ბადე, მასწავლებელთა დატვირთვით; - ფოკუსჯგუფი მასწავლებელთან; - პირადი საქმეები;
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	37
მოწვეული/მაძიებელი	7
პრაქტიკოსი მასწავლებელი	9
უფროსი მასწავლებელი	20
წამყვანი მასწავლებელი	1
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს უდასტურდება კვალიფიკაცია იმ საგანში ან საგნებში, რომელთაც ასწავლის. სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალსაც უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია. სკოლაში დასაქმებულია: ექიმი, სპორტის მწვრთნელებს ყველას შესაბამისი სახეობის სპორტის მწვრთნელის კვალიფიკაცია აქვთ. თვითონ სკოლის დირექტორი -ფსიქოლოგია.</p> <p>ყველა მასწავლებელი ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში;</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> - ინტერვიუ დირექციასთან; - ხელშეკრულებები თანამშრომლებთან; - პირადი საქმეები პერსონალის; - E-school -ის ბაზა;ს
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის შინაგანაწესში არის ცალკეული მუხლები, თავი/თავები თანამშრომლების შერჩევაზე, მიღება გათავისუფლებაზე, ასევე წახალისებასა და სანქციებზე.</p> <p>თავი 4 „შრომითი ურთიერთობის წარმოშობა“ - მთლიანად ამ საკითხს ეძღვნება: ამავე თავის პირველი მუხლის პირველ პუნქტში არის ჩანაწერი: „განცხადების გავრცელება სასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესახებ ხდება ელექტრონული/მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით,“ რაც მიგვანიშნებს ვაკანტურ ადგილზე პოტენციური დასაქმებულის მიღების გამჭვირვალე პროცედურაზე. სკოლის სოციალურ ქსელში და ვებ. გვერდზეც ხშირია ვაკანსიის განცხადებები. სასწავლებლის ადმინისტრაცია jobs.ge –ზე და pedagogi.ge- ზეც აქვეყნებს ვაკანსიის შესახებ განცხადებას.</p> <p>შინაგანაწესის მიხედვით, კონკურსი თანამშრომლის შერჩევაზე ორეტაპიანია: პირველი ეტაპი: პირველადი შერჩევა და მეორე ეტაპი:</p>
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>გასაუბრება;</p> <p>გათავისუფლების წესიც გვხდება, როგორც სკოლის შინაგანაწესში, ასევე თანამშრომელთა ხელშეკრულებაშიც;</p> <p>ასევე შინაგანაწესშია ჩანაწერი თანამშრომელთა წახალისებაზე: წახალისების ფორმები, რომელიც სკოლაში გამოიყენება შემდეგია:</p> <p>„ა) სასწავლებლის დირექტორის მიერ ბრძანებით მაღლობის გამოცხადება;</p> <p>ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;</p> <p>გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;</p> <p>დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;</p> <p>ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა;“</p> <p>შინაგანაწესში ასევე გაწერილია დისციპლინარული წარმოების წესი და დისციპლინარული გადაცდომის ფორმები, როგორც დასაქმებულის ისე მოსწავლის მიმართ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> - შპს იაკობ გოგებაშვილის შინაგანაწესი; - სკოლის შიდა ბრძანებები; - ინტერვიუ საქმისმწარმოებელთან;
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ალწერიტი მიმოხილვა და ანალიზი	<p>შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში ყველა დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულებები.</p> <p>ხელშეკრულებები შეესაბამება შრომის კოდექსს და მოქმედ კანონმდებლობას;</p> <p>ყველა ხელშეკრულებას აქვს პირადი ნომერი, გაფორმების თარიღი, დამსაქმებლის და დასაქმებულის ხელმოწერა და ბეჭედი;</p> <p>ყველა ხელშეკრულება გატარებულია სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც დანომრილი და დალუქულია;</p> <p>სკოლის პერსონალის სამუშაო ინსტრუქციები გაწერილია ცალ-ცალკე დებულებებში. დებულებების ერთ ნაწილში პერსონალის თანამდებობრივი კონკრეტული პოზიციის სახელწოდება რამდენჯერმე არეულია, სტრუქტურულადაც ზოგიერთი დებულება გაუმართავია. სკოლას, 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და დამტკიცება.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> - ხელშეკრულებები თანამშრომლებთან; - ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი; - საქმისწარმოების წესი; - დებულებები და სამუშაო ინსტრუქციები;
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სკოლა ჩართულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“.

სკოლაში გამოცემულია დირექტორის მიერ ბრძანება „სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის შექმნაზე“, ასევე შესაბამისი ცვლილებების (ცვლილება შეფასების ჯგუფის წევრის შესახებ) ბრძანებებიც არის.

შეფასების ჯგუფის წევრების არჩევა დასტურდება კათედრების ოქმებით; კათედრების ჩანაწერების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ მათ გაწერილი აქვთ წლის განმავლობაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის მასწავლებელთა ურთიერთდასწრება. ამ აქტივობათა შორის არის გაკვეთილზე დაკვირვება და მონიტორინგი. გაკვეთილზე დაკვირვების პროცესი მოიცავს გაკვეთილზე დაკვირვებას (წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით გაკვეთილის პროცესისა და მასწავლებლის შეფასებას); ძლიერი და სუსტი მხარის გამოვლენას, დასკვნას და რეკომენდაციებს. შესაბამისად დაკვირვების, შედეგად იკვეთება მასწავლებლის საჭიროებები რეკომენდაციის სახით. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა დაკვირვების ორი ფორმა.

სასწავლებელმა შექმნა დოკუმენტი „შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2015

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	წლის 16 იანვარს გამოცემული ბრძანება №01/03-15;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2015 წლის 16 იანვარს გამოცემული ბრძანება №01/03-15;
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლაში ფიზიკური გარემო აბსოლუტურად მოწესრიგებულია. ის დაცულობის და უსაფრთხოების გარანტიას იძლევა. ამის დასტურია: კაპიტალური ღობე, 24 საათიანი უსაფრთხოების ბრიგადის ტერიტორიის დაცვა, ვიდეო-კამერები ყველა პერიმეტრზე, შენობის მდგრადობა, სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა და სხვა..</p> <p>მოსწავლეთა დღის რეჟიმიც იმდენად კომფორტულად არის გაწერილი, რომ პასუხობს ბავშვის სასურველ რეჟიმს (მომრავი თამაში ცვლის პასიურს, კვებებს შორის დისტანცია დაცულია, მომრავი თამაში არ არის დაგეგმილი პირდაპირ წახამსების/კვებების შემდგომ): დღის</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>რეჟიმით განსაზღვრულია: ტრანსპორტირება, დილის გამამხნეველი ვარჯიში, საუზმე, გაკვეთილები, სადილი, სახელობო აქტივობა, სპორტის წრეები, მსუბუქი ვახშამი, განტვირთვა, ტრანსპორტირება.</p> <p>სკოლაში არის ურთიერთპატივისცემის და კეთილგანწყობილი გარემო. მშობლებთან ინტერვიუებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემოა. ერთერთმა მშობელმა ფოკუს-ჯგუფში ისაუბრა დაწყებითი კლასის მოსწავლეებისადმი უფროსკლასელების მზრუნველ დამოკიდებულებაზე.</p> <p>ასევე, მოსწავლეები ხაზს უსვამენ სკოლის მიერ მოსწავლეთა მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას: ყველა მოსწავლის პიროვნული ღირსების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათი ძლიერი მხარეების აღიარებას. მოსწავლეებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლების თბილი და თანამშრომლობითი დამოკიდებულება.</p> <p>სკოლის ღონისძიებების უმრავლესობა ტოლერანტული, ემპათიური ხასიათისაა: მაგალითად, ჰოსპისის მხარდამჭერი პროექტი, კოჯრის ბიბლიოთეკის აღდგენის პროექტი, საქველმოქმედო გამოფენები და სხვა.. ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ სკოლის შიგნით ან გარე პერიმეტრზე მოსწავლისადმი პატარა კონფლიქტშიც კი ერთვება სკოლის დირექტორი, ინფორმირებულია მშობელი/მშობლები, ფსიქოლოგი უწევს დახმარებას და ა.შ. რათა დროულად განიმუხტოს მდგომარეობა.</p> <p>მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფში მასწავლებელმა ახსენეს, რომ</p>
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<p>„პანდემიის დროს ძალიან კარგად გამოვლინდა მოსწავლეების მასწავლებლებისადმი დამოკიდებულება, ურთიერთდახმარების პროცესები. ხშირად მოსწავლე აძლევდა კონსულტაციას მასწავლებელს, როგორ გამოეყენებინა ვებინარისას პრეზენტაციის დილაკი, ხელის აწევის ფუნქცია, ხმის გათიშვა და ა. შ.“</p> <p>საინტერესო მაგალითია სახელობო პროგრამის რამდენიმე აქტივობაც: მოსწავლეები თავიანთ თანატოლებს უკერავენ წინსაფრებს, უცხოებენ პურს და ა. შ.</p> <p>პერსონალი, მოსწავლეების მსგავსად სარგებლობს უფასო ტრანსპორტირებით და კვებით.</p> <p>აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში კეთილგანწყობილი გარემოა ყველა მოსწავლისთვის., მასწავლებლისთვის, მოსწავლის მშობლისა და ნებისმიერი პერსონალისთვის.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> - ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან; - ფოკუს ჯგუფი მოსწავლეთა მშობლებთან; - ფოკუს ჯგუფი მასწავლებთან; - ინტერვიუ სასწავლებლის დირექტორთან; - სოციალური ქსელი და ვებ. გვერდი;
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია
--	--

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სასურველია სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებები გაერთიანდეს ერთი დებულების „სკოლის დებულება“ სახელით.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	<p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> სტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> სტანდარტი დარღვეულია</p>

• თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებელზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქალაქი თბილისი

.....

(შევსების ადგილი)

თარიღი

გვერდების რაოდენობა

65

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.